პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
კვირა
6 დეკემბერი
№ 281 (18223)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ШРОМИС ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲜᲐᲙᲐᲓᲖᲔᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ საკონსერვო მრეწველობის კომბინატის ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შედიან მანდარინს, ფორთოხლის, ლიმონის, გრეიფრუტის ახალი მოსავლით დატვირთული ავტომანქანების კოლონები. ხილი აქ გადასამუშავებლად შემოაქვთ არა მარტო აჭარის ასს რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებს, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებსაც.

საწარმოს ნაკადური ხაზებიდან ყოველდღიურად ჩამოდის ათიათასობით ქილა სხვადასხვა ციტრუსოვანთა წვენი, მურაბა, ჯემი, ცუკატი, კომბინატის საამქროებში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა“, რომლის ავანგარდშია ნ. კუცხალიძის ცხელი ჩამოსხმის პირველი ბრიგადა. ეს ერთსულოვანი კოლექტივი ცვლაში აწარმოებს დაახლოებით 8 ათასი ქილა კონსერვს ნორმით გათვალისწინებულზე 30 პროცენტით მეტს.

კომბინატში მთავრდება მანდარინიდან ეთერზეთების ამოღების საცდელი ხაზის გამოცდა. ხაზი შექმნეს სუბტროპიკული ხილის შენახვისა და გადამუშავების ბათუმში მოქმედი სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა, იგი გაუმჯობესებს მანდარინის წვენის ხარისხს, შეინარჩუნებს ძვირფას ეთეროვან ზეთებს, როლებიც ჯერჯერობით ნარჩენების სახით იკარგება.

მეთერთმეტე ხუთწლედის სასტარტო წელს ციტრუსოვანთა მოსავლის კრეფისა და გადამუშავების სეზონში აჭარის მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს გამოუშვან 20 მილიონი ქილა სურნელოვანი პროდუქცია.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ — ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲤᲐᲪᲘᲑᲣᲚᲘ. ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის ფრინველისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა ქალაქის ზონის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათშორისო საწარმოს კოლექტივმა. სანარმო ფართოვდება. მომავალ წელს ხორცისა და კვერცხის წარმოება აქ 25 პროცენტით გაიზრდება.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. ჭალოვანის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა მოწოდებით სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებლებმა საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერაციის საფუძველზე ვალდებულება იკისრეს თითოეულმა კომლმა გაასუფოს 2-5 სული ღორი, 1000 კილოგრამამდე მიიყვანონ თითოეულის წონა და ჩააბარონ სახელმწიფოს.

ᲒᲝᲠᲘ. ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის მშრომელებმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ღოლიჯაშვილი ხელმძღვანელობს, სახელმწიფოს ჩააბარა 800 ტონა ბოსტნეული — გეგმით გათვალისწინებულზე 300 ტონით მეტი და 800 ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 500 ტონის ნაცვლად. (საქინფორმი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ

ᲣᲠᲛᲘᲗᲘ აღმავლობით, მაღალი საწარმოო რიტმით მუშაობენ ახლა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინტელექტუალური შრომის ადამიანები. ისინი მხურვალედ იწონებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე აჭარა ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლაში დასახულ ამოცანებს.

პარტიის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესაბამისად მეთერთმეტე ხუთწლედსა და მომავალ წელს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული მაჩვენებლები და მიჯნები აისახა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიისათვის წარდგენილ დოკუმენტებში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1982 წლის სახელმწიფო გეგმის და ბიუჯეტის შესახებ, რომლებიც განიხილა და ძირითადად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმმა.

რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული გეგმები ითვალისწინებს ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და მისი კულტურული დონის ამაღლებას, საერთო-სახელმწიფო დოვლათში რესპუბლიკის წვლილის ზრდას, წინსვლასა და აღმავლობას ცხოვრების ყველა უბანზე.

სესიის ტრიბუნიდან ხალხის რჩეულები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, როცა ღრმად და საქმის ცოდნით ანალიზებდნენ სახალხო-სამეურნეო გეგმებს და ბიუჯეტის მაჩვენებლებს, ნიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამ გეგმების განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დინამიკურ განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მომავალ წელსა და მთელ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგებას, რის შედეგად სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 13,4 პროცენტით გაიზრდება და ხუთწლედის ბოლო წელს 164 მანეთს გადააჭარბებს. სოფლად კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 18,1 პროცენტით გადიდდება და ასევე ხუთწლედის ბოლოსათვის თვეში 120 მანეთს მიაღწევს.

დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანებია დასახული საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის, ბავშვებიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდებისა და მომუშავე ქალების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები ხუთწლედის ბოლოსათვის შეადგენს უზარმაზარ თანხას — 2415 მილიონ მანეთს.

ხუთწლედის მანძილზე აშენდება 7474 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგად საბინაო პირობებს გაუმჯობესებს 448 ათასზე მეტი კაცი. უფრო განვითარდება და განმტკიცდება სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ისიც აღსანიშნავია, რომ მარტო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის 239 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა რეალიზაციისათვის უაღრესად პასუხსაგები ეტაპი გახდება მომავალი წელი. ამიტომ ამათვითვე უნდა გაძლიერდეს მუშაობის ტემპი, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ხუთწლედის მეორე წლის დაკალებები წარმატებით სრულდებოდეს. იმისათვის, რომ მომავალ წელს საცალო საქონელბრუნვამ 4770 მილიონ მანეთს, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ 163,6 მილიონ მანეთს მიაღწიოს, საჭირო იქნება დაძაბული შრომა, ორგანიზებულობა და საქმისადმი პრინციპული პარტიული დამოკიდებულება ჩვენი მუშაობის ყველა რგოლში და უბანზე.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მშრომელი ადამიანის საჭიროებისთვის კონკრეტული ზრუნვა ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალი წერტილი და უმთავრესი მიზანია.

ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის, მომსახურების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, მკვეთრად უნდა ავამაღლოთ მუშაობის კულტურაც. სახელმწიფო, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის მუშაკებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა მფლანგველობის, მტაცებლობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ჯეროვანი ადგილი უნდა დაიჭიროს კონტროლმა და თვითკონტროლმა, კრიტიკამ და თვითკრიტიკამ ურომლისოდაც გაძნელდება ნაკლოვანებათა აღმოფხვრაც, წინსვლაც და საბოლოო მიჯნის მიღწევაც.

ასეთი მუშაობა იმიტომაც გვჭირდება, რომ მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ეს განსაკუთრებით ითქმის იმაზე, რომ ყოველდღიური მოხმარების საქონლის წარმოება, მომარაგება, მიტანა და მოსახლეობისათვის მიყიდვა ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნებს, ჩვენი ხალხის გემოვნებას, იმ დონეს, რომლის მიღწევისთვის პარტია მოგვიწოდებს. ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ცალკეულ რაიონებს, დასახლებულ პუნქტებს ურიგოდ აწვდიან ისეთი პირველი მოთხოვნილების საქონელს, რომლითაც სავსეა საწყობები და ბაზები. ჩვენში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისადმი ეფექტიანი კონტროლი, რის შედეგადაც საკვერო ქსელში დაგროვდა დიდძალი მოძველებული ფასონის საქონელი.

განა შეიძლება შეეურიგდეთ ყოველივე ამას?

ქვეყნის ძლიერება, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული ყოველი საბჭოთა ადამიანის კეთილსინდისიერ შრომაზე, მონდომებასა და შემართებაზე, ვერგილიანობაზე, დისციპლინაზე, ამიტომ ყველა რგოლისა და უბნის მუშაკის, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის ვალია იშრომონ, იბრძოლონ, მისცენ მაგალითი ყველას იმაში, რომ წარმატებით სრულდებოდეს პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ ერთხმად მიიღო საქართველოს სსრ კანონები, მოისმინა და დამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ბოლო წლებში მიღებულ ბრძანებულებათა შესრულების პრაქტიკული შედეგები. ხალხის რჩეულებმა გულდასმით განიხილეს, ერთხმად მოიწონეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ჯ. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ კანონების პროექტების თაობაზე. დეპუტატები გამოსვლებში საზგასმით აღნიშნავდნენ და თავიანთი ამომრჩევლების მოწონების ნიშნად გამოხატავდნენ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში გამაცაზრს კანონი ისეთი დანაშაულების მამართ, როგორიცაა ქურდობა, მძარცველობა, აიჩალობა, ავტომანქანების გატაცება, მუქთახორობა, გამოძალვის მიზნით მოქალაქეთა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ახალი ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანი ძვრებია სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საინტერესო და საჭირო იყო დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვაზე საქმიანი პასუხი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადებაში მათი წვლილის გადიდებისათვის. დეპუტატების აზრით ამ საკითხზე განხორციელებული რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს საქმის წინსვლას.

ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე უნდა იგრძნობოდეს პარტიული ორგანიზაციების წარმმართველი ძალა, ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლი იმ ამოცანათა წარმატებით ხორციშესხმისათვის, რომლებიც საერთოდ ხუთწლედში და, კერძოდ, მომავალ წელს რესპუბლიკის წინაშე დგას.

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲒᲐᲛᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ



ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ისმაილ მუსელიანი ლენინის ორდენოსან „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივში 16 წლის წინათ მოვიდა. თავდადებულმა შრომამ, საქმისადმი ერთგულებამ და სიყვარულმა მუშაკაცს სახელი მოუხვეჭა. ახლა იგი თბილისის მეტროპოლიტენის ღრმაღელე-ვლდანის მონაკვეთის მშენებლობაზე ერთ-ერთ საუკეთესო ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი კოლექტივის წევრები სახელმწიფო გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗᲐᲜ: ი. მუსელიანი; მარჯვნივ — გვირაბის შესასვლელი.

Გ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საზღვაო სანაოსნოს ბევრი ტანკერის ეკიპაჟები შესანიშნავ შრომითს წარმატებებს აღწევენ თავიანთ რთულ და პასუხსაგებ საქმიანობაში. სანაოსნოში მოვიდა ცნობა მესამე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ. გამოირკვა, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ფულადი პრემია და გრდამავალი ვიმპელი დაიმსახურა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდმა „ჩაკალოვმა“, მესამე ადგილი — „ნიკოლოზ ვოზნესენსკის“ ეკიპაჟმა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების შეჯიბრებაში პირველი ადგილი მიეკუთვნა გემების „პობედა ოქტიაბრიის“ და „საბჭოთა საქართველოს 50 წლის თავის“ ეკიპაჟებს.

აღინიშნა გემების „აქტაუს“, „ახალციხის“, „ადიგენის“ ეკიპაჟების კარგი მუშაობა. (საკ. კორ.).

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

143 ᲙᲣᲑᲐᲜᲘ მეტრი ხეტყე დაზოგეს, 30 კაპიკით შეამცირეს ტონა მადნის თვითღირებულება და ათი დღით ადრე შეასრულეს 11 თვის საწარმოო დავალება — ასეთია კალინინის სახელობის მაღაროს მეათე საწარმოო უბნის ეკონომიკური მაჩვენებლები იმ შეჯიბრებაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

მეათუბნელებს ტოლს არ უდებენ მეოთხეუბნელებიც. მათაც ვადამდე შეასრულეს მანგანუმის ამოღების 11 თვის დავალება, გაიაფეს პროდუქციის თვითღირებულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს მრეწველობის დამსახურებულმა მუშაკმა ი. გაფრინდაშვილმა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა თ. გოგსაძემ, ო. გოგატიშვილმა, გ. გოცაძემ, ა. გულიაშვილმა, ვ. ვეშაიძემ, ჟ. ცუხიშვილმა და სხვებმა. (საკ. კორ.).

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ

ᲚᲐᲯᲐᲜᲣᲠᲘᲡ ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. ლაჯანურელებმა სამშობლოს მისცეს 285 მილიონი კილოვატსაათი ენერგია — შარშანდელზე 41 მილიონი კილოვატსაათით მეტი. საკუთარი საჭიროებისათვის გამოყენებულია 1137 ათასი კილოვატსაათი — დაგეგმილზე 78 ათასით ნაკლები. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3 პროცენტით, ერთი კილოვატსაათის თვითღირებულება შემცირდა 2 პროცენტით.

ჰიდროელექტროსადგურის საამქროებს შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ელექტროსაამქრომ, რომელსაც ა. მისურაძე ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ოსტატებმა რ. ნემსიწყვარიძემ, ო. ჩაჩხიანმა, ელექტრომონტიორებმა კ. და ს. დავითულიანებმა, გ. ჯანაძემ და სხვებმა.

ᲝᲜᲘ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ენერგიულად, მონდომებით იბრძვის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი — თ. მეშვილდიშვილი). გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვების თურთმეტი თვის გეგმა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 10,6 პროცენტით გაიზარდა.

ბევრმა მკერავმა უკვე შეასრულა პირადი წლიური დავალება. მათ შორის არიან დ. ბერელიძე, ზ. კაჩმაზოვა, ბ. გაგნიძე, ნ. რაზმაძე, ლ. გუგეშაშვილი, მ. ლებანიძე, ე. ჯაფარიძე, ხ. მაისურაძე და სხვები.

ფაბრიკის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ახალ წარმატებებს მიაღწიოს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. (საკ. კორ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ნორმალურ შეუფერხებელ მუშაობაზე დამოკიდებულია მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის გამართული მუშაობა, ადამიანის ბუნება-განწყობილება, საქმისადმი მისი დამოკიდებულება. ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპის პირობებში, რაც ახასიათებს რესპუბლიკის ეკონომიკას, სატრანსპორტო ტვირთზიდვის მასშტაბი წლითიწლობით იზრდება. ტრანსპორტის პრობლემა ჩვენში იმითაც რთულდება, რომ გზების გამტარუნარიანობა მთელ რიგ რაიონებში უნდა დავიცვათ ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში.

უკანასკნელ წლებში ტვირთისა და მგზავრთა ნაკადი მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებებით იმდენად გაიზარდა, რომ დამატებითი მატარებლების, ავტომობილების, გემების გატარება ფრიად ძნელი გახდა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.

რა კეთდება რესპუბლიკაში ამ პრობლემის წარმატებით გადასაწყვეტად? ამაზე იყო სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე.

მოისმინეს პარტიის რუსთავის, ზესტაფონის, ხობის, სოხუმის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წარმომადგენელთა ინფორმაციები. აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს ამ ქალაქებსა და რაიონებში მკვეთრად შემცირდა რკინიგზის ვაგონების მოცდენა, ცალკეულ დღეებში კი იგი ნულს უდრის. მაგრამ წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები რომ არა, რომლებიც უარყოფითს გავლენას ახდენს ტრანსპორტის მუშაობაზე. იმის გამო, რომ ხშირად მწყობრიდან გამოდის ვაგონსაყირავები, არ არის დაკომპლექტებული ამ მექანიზმების მომსახურე პერსონალი, დაბალია შრომის დისციპლინა, არათანაბარზომიერად, უგანაცხადებოდ წარმოებს ნედლეულის, მასალების მიწოდება, ხელი შეშლება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნორმალურ მუშაობას. 60-იდან 120 ვაგონამდე დღეში — ამდენით გაიზარდა მათი შემოსვლა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მაგრამ სალოკომოტივო მეურნეობა ისეთივე დარჩა, როგორიც ოცდაათიან-ორმოციან წლებში იყო. ხობის სადგური ძველი და პატარაა, არ შეუძლია თავი გაართვას მზარდი ტვირთის ნაკადს. სოხუმში ნელია სატრანსპორტო ობიექტების რეკონსტრუქციის ტემპი.

თათბირზე მოისმინეს ცნობები ზამთრის პირობებში სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის მზადყოფნის დონის შესახებ. ინფორმაციები გააკეთეს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ლ. ვარდოსანიძემ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ რ. ლეიაშვილმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა ი. სამადალაშვილმა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს უფროსმა გ. ჩხეიძემ. აღინიშნა, რომ ზამთრისათვის მზადების საქმეში კიდევ ბევრი ნაკლია. გზატეხილები ბევრგან უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია, სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს ტროლეიბუსის ხაზების საკონტაქტო ქსელი, აღინიშნა ნაკლოვანებანი ბენზინით, ზეთით ავტომობილისტთა მომარაგებაში.

მწვავედ იდგა თესვის კამპანიისათვის სასოფლო-სამეურნეო ვერტმფრინავების მომზადების საკითხი.

შემუშავდა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ზამთრის პირობებში ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ. (საქინფორმი).

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ პროგნოზირება და ადამიანის მოთხოვნები — ასეთია თემა საერთაშორისო სიმპოზიუმისა, რომელიც 6 დეკემბერს იწყებს მუშაობას თბილისში. სიმპოზიუმს აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და სისტემური კვლევის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი **იუნესკოს** სამიანობაში და, კერძოდ, მის პროგრამაში „მეცნიერული გამოკვლევები და ადამიანის მოთხოვნები“ საბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეობის ფარგლებში.

სიმპოზიუმის გახსნის წინ საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ე. ჩერქეზიას ეამბნა მეცნიერთა თბილისის შეხვედრის მნიშვნელობის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

— უკანასკნელ წლებში, — თქვა ამბ. ჩერქეზიამ, — მნიშვნელოვნად გაიზარდა მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ინტერესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირების პრობლემებისადმი, მეცნიერების განვითარების პერსპექტივების შეფასებისა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით მისი პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლინებისადმი. ამ საკითხთა შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული პოლიტიკის შემუშავების, სამეცნიერო კადრების მომზადების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის დროს.

მეცნიერებისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტიული შეფასების დროს განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიის საკითხები. მას საფუძვლად უდევს სისტემური მიდგომა და საშუალებას გვაძლევს ყოველმხრივ შეავფასოთ ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და მის სოციალურ შედეგებზე.

„სკკპ XXVI ყრილობამ საბჭოთა მეცნიერებას დაუსახა პასუხსაგები ამოცანები.

„ქვეყანას, — ხაზგასმით აღნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უაღრესად სჭირდება, რომ „დიდმა მეცნიერებამ“, თეორიულ პრობლემათა დამუშავებასთან ერთად, თავისი მეცადინეობა უფრო მეტად მოახმაროს მთავარ სახალხო-სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტას, აღმოჩენებს, რომლებიც ქემმარიტად რევოლუციურ ცვლილებებს შეიტანენ წარმოებაში“.

იმ პროცესების სირთულე და წინააღმდეგობანი, რომლებსაც კაცობრიობა აწყდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს, ამ პროცესების სწრაფი მიმდინარეობა და მით შედეგების მასშტაბები შთააგონებს საზოგადოებას მეცნიერებას მოეკიდოს როგორც სოციალურ ინსტიტუტს, რომელსაც ეკისრება სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მომზადების, დასაბუთებისა და პროგნოზული უზრუნველყოფის ფუნქციები.

სიმპოზიუმი განიხილავს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის გზების განსაზღვრისას მეცნიერთა, მეცნიერული საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური მოღვაწეების მეცადინეობის კოორდინაციის აქტუალურ პრობლემებს.

ფართო სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხილვის მისწრაფებას იჩენენ ავტორები მთელი რიგი დიდი პროექტებისა, რომლებიც ეძღვნება გლობალური განვითარების პერსპექტივების შეფასებას, როგორიცაა მაგალითად, „ზლობალური 2000“, რომელიც შეასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმ ა. პროექტი „ინტერფიუჩურსი“, რომელიც მომზადა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფმა. დიდად საინტერესოა აგრეთვე „თეთრი წიგნი მეცნიერული გამოკვლევების შესახებ“, რომელზეც მუშაობაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის თვალსაჩინო მეცნიერები და მოღვაწეები. ამ პროექტების ავტორთა და წამყვან მონაწილეთა მოხსენებანი იქნება წარმოდგენილი მეცნიერთა თბილისის შეხვედრაზე.

სიმპოზიუმი მოისმენს თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერების — აკადემიკოს დ. მ. გვიშიანის მოხსენებას „მეცნიერება ადამიანის მოთხოვნების წინაშე: მეთოდოლოგიური ასპექტები“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ვ. ა. კოტელნიკოვის მოხსენებას „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა და მისი სოციალური შედეგები სსრ კავშირში მომავალი 20 წლისათვის“ და სხვ.

თვალსაჩინო მეცნერებთან და სპეციალისტებთან ერთად, სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ზოგიერთი სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლები და სხვ.

სიმპოზიუმი 11 დეკემბრამდე გასტანს. (საქინფორმი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ“

„ᲛᲐᲠᲐᲯᲕᲐᲛᲡ ერთად“ — აზერბაიჯანის სახალხო პოეტის სამედ ვურღუნის ეს სიტყვები — პოეტური ანდერძი თანამოკალმეებისადმი ზუსტად გადმოსცემს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მთელ არსს. ეს წმიდათაწმიდა გრძნობა წითელ ზოლად გასდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ა. ალიევის წიგნს „საბჭოთა აზერბაიჯანი“, რომელიც ქართულ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.



ავტორი აშუქებს იმ სახელოვან გზას, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა გამოიარეს საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლის მანძილზე, მრავალრიცხოვანი მაგალითით აცნობს მკითხველს, თუ როგორ მიაღწია საბჭოთა აზერბაიჯანმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის თანამეგობრობით ახალ მწვერვალებს ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. დღეს აზერბაიჯანს ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უჭირავს საბჭოთა მოძმე რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში. წიგნი მოგვითხრობს რევოლუციური წლების ჰეროიკაზე, როცა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მხარდამხარ იბრძოდნენ ოქტომბრის ბარიკადებზე, იცავდნენ მის მონაპოვრებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში, ერთად აშენებდნენ ახალ ცხოვრებას.

წიგნის თავები ასახავს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ეტაპებს, მისი მშრომელების მიღწევებს, რომლებიც სამი ლენინის ორდენით აღინიშნა.

ბოლო თავი ეძღვნება აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს.

წინასიტყვაობაში „ქართველ მკითხველს“ ავტორი წერს ქართველთა და აზერბაიჯანელთა საუკუნეების სიღრმეში ჩასახული ძმობის კეთილშობილურ ტრადიციაზე, რომელიც ჩვენს დღეებში სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება.

სულ

პარტიული ცხოვრება: ანგარიშგება-არჩევნები

კრებამდე და კრების შემდეგ

კრებამ დაწყებამდე საკმაო დრო იყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კომუნისტებთან წინასწარი გასაუბრებით გავცნობოდი სოფლის ავკარგს, მის პრობლემებს.

სოფელი ფოკი რაიონული ცენტრიდან — ბოგდანოვკიდან დიდი მანძილით, თითქმის 30 კილომეტრით არის დაცილებული და ზღვის დონიდანაც საკმაო სიმაღლეზე — 2.200 მეტრზეა. მაგრამ სამეურნეო თვალსაზრისით არცთუ ისე ცუდი ადგილმდებარეობა აქვს. ეს 450-კომლიანი სოფელი განლაგებულია ე‍ვ, სადაც სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი წყალუხვი მდინარე — ფარავანი სათავეს იღებს ამავე სახელწოდების ულამაზესი ტბიდან კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სწორედ ამ მდინარისა და ტბის ნაპირებზეა გადაჭიმული.

სარწყავი წყლის რესურსები ბლომად არის, ამ მხრივ, ალბათ, ყველა პრობლემა მოგვარებულია, იფიქრებს ადამიანი, მაგრამ აღრიცხვის დარგის ერთ-ერთ მუშაკთან კომუნისტ შ. აკოფიანთან საუბარმა სულ სწორსაალდგომო სურათი წარმოაჩინა. ასე განსაჯეთ: კოლმეურნეობის 1300 ჰექტარი სახნავ-სათესლიდან მხოლოდ 10 ჰექტარია გასარწყავებული.

ბუნებრივად დაიბადა კითხვა: ამ ტბისა და მდინარის წყალი სარწყავად არ ვარგა თუ ბენი ისეთი ტენიანია, რომ გასარწყავება არ სჭირდება?

პასუხი: წყალიც კარგია და ჩვენს მიწებსაც იგი ძალიან სჭირდება, რადგან ისეთი გვალვები იცის, რომ მიწა იხრუკება და მოსავლიანობა მკვეთრად მცირდება. ამის გამო მცირდება პროტუტყვის საკვები და, რა თქმა უნდა, შესაბამისად, მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. სწორედ ეს მიმაჩნია იმის ერთ-ერთ მიზეზად, რომ ჩვენი კოლმეურნეობა წლების მანძილზე ეკონომიკურად ჩამორჩება.

კითხვა: ჩამორჩენას სხვა მიზეზებიც ექნება...

პასუხი: რასაკვირველია. კოლმეურნეობაში ორგანულ და მინერალურ სასუქებს ეფექტიანად ვერ ვიყენებთ. როგორც ხედავთ, ჩვენი სოფელი ერთ-ერთი მაღალმთიანია რაიონში. ზამთარი სუსხიანი იცის, მისასვლელი გზები ადრე შემოდგომით იკეტება და გვიან გაზაფხულამდე შეწყვეტილია მოძრაობა. ზაფხულში კი, როცა ათასნაირი სამუშაოა მოძალებული, გვეჭირს ჩვენგან თითქმის 130 კილომეტრით დაცილებული ახალციხის რკინიგზის სადგურიდან მინერალური სასუქების დროულად შემოზიდვა. ამ საქმეში „საქსოფლქიმის“ ახალციხის სარაიონთაშორისო გაერთიანება არ გვიწევს სათანადო დახმარებას. ამ ორგანიზაციამ მინერალური სასუქები თავიანთი მაქანებით დროულად რომ მოგვაწოდოს, რაც მათ ევალებათ კიდეც, მაშინ ჩვენი ტრანსპორტი ამ საქმისაგან გამოთავისუფლდება და მინდვრად ორგანული სასუქების გადატანაც აღარ გაგვიჭირდება. წელს, ჩვენდა სამარცხვინოდ, არც ერთი ტონა ორგანული სასუქი არ გაგვტანია მინდვრად. მინერალური სასუქებიც ძალიან მცირე რაოდენობით შევიტანეთ ნათესებში.

ერთი სიტყვით, ტექნიკა არ გვყოფნის, რაც გვაქვს იმასაც მთელი დატვირთვით ვერ ვამუშავებთ სათადარიგო ნაწილების უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო. ერთი ძრავამოშლილი სატვირთო ავტომანქანა გაზაფხულს აქეთ გაჩერებულია, ტრაქტორებს და კომბაინებს კი კოლმეურნეობის ზოგიერთ სახნავ-სათესლეში უჭირს მუშაობა, რადგან ნიადაგი ქვიანია.

კითხვა: რატომ არ წმენდთ ყანებს ქვისაგან?

პასუხი: კი ვწმენდთ, მაგრამ საკითხავია, როგორ. მარტო ქალებისა და ბავშვების გაწმენდილი ყანა რა უნდა იყოს. მამაკაცები რატომღაც გაურბიან ამ საქმეს და საერთოდ საკოლმეურნეო შრომაშიც ნაკლებად მოხაწილეობენ. ნაწილი შრომისუნარიანი მამაკაცებისა გარე სამუშაოზე დადის, ზოგი კი კოლმეურნეობის მინდვრებში მუშაობას ტბაზე თევზაობასა და ამ ნადავლით ვაჭრობას ამჯობინებს, რადგან ეს უფრო სარფიანია.

კითხვა: მაგრამ ამ თევზს პატრონი არ ჰყავს? ან თქვენს კოლმეურნეებს რატომ არაფერს ეუბნებით: რატომ არ გააგებინებთ, რომ მათ მიერ არჩეული გზა სწორი არ არის.

პასუხი: თევზის პატრონი ფარავნის მეთევზეობის მეურნეობაა. მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად ვერ პატრონობს. ჩვენს კოლმეურნეებს კი... როგორ არ ვეუბნებთით, მაგრამ ვინ გვისმენს.

სხვა კომუნისტებთან საუბრებიც იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ შრომის ცუდი ორგანიზაციის, დისციპლინის დაქვეითებისა და სხვა მიზეზების გამო ეფექტიანად ვერ იყენებენ კოლმეურნეობაში არსებულ რეზერვებს. ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ აქ მეტად დაბალ დონეზეა პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა.

ყოველივე იმის შესახებ, რაც ფოკის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის დაცვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არაფერი თქმულა. ამ პრობლემებს რატომღაც კვერდი აუქციეს მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა მ. ადამიანმა, თავად შ. აკოფიანმაც და სხვა გამომსვლელებმაც.

საკითხავია, რატომ მოერიდნენ ფოკელი კომუნისტები ამ საკითხზე საუბარს? იქნებ იმიტომ, რომ კრებას, პარტიის რაიკომის წარმომადგენელთან ერთად, რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ბ. გალუტაფენი ესწრებოდა? მაგრამ განა უფრო უკეთესი არ იქნებოდა, ამ ნეგატიურ მოვლენებზე სწორედ მათი თანდასწრებით ემსჯელთან და სათანადო პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებებიც ადგილზევე დაესახათ? მაშ როგორ უნდა აღმოფხვრან ესა და სხვა ასეთი სიმახინჯეები, როგორ უნდა განამტკიცონ საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, ურომლისოდ შეუძლებელია ჩამორჩენისაგან თავის დაღწევა? თუმცა საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის როგორ უნდა იბრძოლონ, როცა თავიანთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ვერ დაუმყარებიათ სათანადო წესიერი. განა პარტიული დისციპლინის დაქვეითებას არ მოწმობდა ის ფაქტი, რომ ათი კომუნისტი, ე. ი. აღრიცხვაზე მყოფი კომუნისტების თითქმის 20 პროცენტი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ გამოცხადდა?! რამდენიმემ კი მაინც დაადგინა, თუმც კრება ისედაც საკმაოდ დაგვიანებით დაიწყო. ორი კომუნისტი ჰ. კარაპეტიანი და კ. კლოიანი კი სარფიანი სამუშაოს საშოვნელად რესპუბლიკის გარეთ წავიდნენ და ხუთი-ექვსი თვეა მოწყვეტილი არიან პარტიულ ცხოვრებას, საკოლმეურნეო შრომაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

კრებაზე ისიც თქვა, რომ ზოგიერთი კომუნისტი ხშირად აცდენს პარტიულ კრებებსა და პოლიტმეცადინეობებს, უპასუხისმგებლოდ ეკიდება პარტიულ დავალებებს და მინდობილ საქმეს. — კრებამ იგი დამაკმაყოფილებლად შეაფასა. ეს სწორია, რადგან მასში ურიგოდ არ იყო გაშუქებული საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. მაგრამ ნაკლიც საკმაოდ ჰქონდა. მოხსენებაში ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები. ზოგიერთ დებულებას აკლდა დამაჯერებლობა.

აი თუნდაც ეს: მომხსენებელმა აღნიშნა, ჩვენი კომუნისტების უმრავლესობა დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებსო. თუ ასეა, მაშ რით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჩვენი მექანიზატორები, რომელთა შორის ათი კომუნისტია, ზოგჯერ უხარისხოდ ამუშავებენ მიწას. ამ და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო მიწათმოქმედების კულტურა ჩვენთან მეტად დაბალ დონეზეა. არ გვაქვს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის მწყობრი სისტემა, ჯეროვანი უურადღება არ ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩვენი მეცხოველეობის ფერმები, სადაც რვა კომუნისტი მუშაობს, სამარცხვინოდ ჩამორჩება წველადობაში, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის კი უამრავი რეზერვი გვაქვს.

მართალია, წელს დავიწყეთ ყამირი მიწების ათვისება და იმ 150 ჰექტარი, რომელიც კოლმეურნეობის სახნავ-სათესლებს შეემატება, ყოველწლიურად დამატებით სულ ცოტა 800 ტონამდე თივას მოგვცემს, რითაც მნიშვნელოვნად განვამტკიცებთ მეცხოველეობის საკვებ ბაზას, გავზრდით პირუტყვის პროდუქტიულობას და ჩვენც საშუალება მოგვეცემა გარკვეული წვლილი შევიტანოთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, მაგრამ ყამირი მიწების ათვისების ინიციატივას ვერც ერთი ჩვენი კომუნისტი ვერ დაიკვეხნის. ამას მოლიანად ვემადლოთ საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიონულ კომიტეტს.

— სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ ე. მკრტჩიანმა კრებაზე გამოსვლისას ილაპარაკა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, იმის შესახებ კი არაფერი თქვა, თუ როგორ მუშაობს იგი როგორც პარტბიუროს მდივნის მოადგილე და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, როგორ ასრულებს პარატიულ დავალებას. როგორია თქვენი აზრი ამ და სხვა კომუნისტთა გამოსვლებზე?

— ჩემი აზრით, სიანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოსულმა კომუნისტმა პირველ რიგში უნდა ილაპარაკოს იმაზე, თუ საანგარიშო პერიოდში როგორ მუშაობდა მათი არჩეეითი პარტიული ორგანო, ამასთან რა პარტიული დავალება ჰქონდა და როგორ ასრულებდა მას თვითონ, რით ეხმარებოდა პარტბიუროს მუშაობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი გამომსვლელის გარდა, თავიანთი პარტიული დავალებებისა და მათი შესრულების შესახებ არავის არაფერი უთქვამს. მეც თითქოს ჩემდაუნებურად მათ მიგბაძე, და გავყევი იმ წყალმარჩხ მდინარეს, რომელიც მხოლოდ კალაპოტის ცალ მხარეს აწყდება თავისი უსუსური ტალღებით. იმ ერთმა კომუნისტმაც, ალბათ, იმიტომ გაუსვა ხაზი ამ საკითხს, რომ იგი პარტიული დავალების შეუსრულებლობისათვის მომხსენებელმა გააკრიტიკა.

პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ცხადყო, რომ ფოკის კომის სახელობის კოლმეურნეობაში მეურნეობის მთავარი დარგის — მეცხოველეობის ჩამორჩენა შემთხვევითი მოვლენა არ არის. იგი, სამწუხაროდ, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების კანონზომიერი შედეგია. როგორც კომუნისტებმა აღნიშნეს, კოლმეურნეობას საკმაო რეზერვები აქვს იმისათვის, რომ მკვეთრად გაადიდოს საკვებწარმოება და სწრაფი აღმავლობის გზაზე დააყენოს მეცხოველეობა, მათი საზოგადოებრივი მეურნეობა კი მოწინავეთა რიგებში იყოს. მაგრამ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო, რომლებიც თითქოს ყველაფერს აკეთებენ ჩამორჩენის დასაძლევად, ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ამ საქმეში გარდატეხის შეტანას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ საკოლმეურნეო შრომაში არ იგრძნობა კომუნისტთა ავანგარდული როლი. დაბალია მათთან პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო დაუნდობელი ბრძოლის ნაცვლად თვალს ხუჭავენ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებიც ხელს უშლიან შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. მუშაობის გარდასაქმნელად და ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად პირველადს პარტიულ ორგანიზაციას რაიკომის დიდი დახმარებაც სჭირდება.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დროზე რომ მიეხედათ...

ქალაქ ტყიბულის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შესანიშნავი შრომითი ტრადიციები ყოველთვის მისაბაძი იყო. აქაურნი სამთოელები არაერთხელ ყოფილან სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ინიციატორები. მათ მიერ განხორციელებული საორგანიზაციო და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები ხშირად გამხდარა ხელმისაწვდომი ქვეყნის მონათესავე საწარმოებისათვის.

ტყიბულზე საუბარი, როგორც უკვე მიხვდით, წარსულ დროში დავიწყეთ და სავსებით გამიზნულადაც. მართალია, ქალაქის მრეწველობა მთლიანად ახლაც გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, წარმოების მოცულობის ზრდის დაგალებას, მაგრამ ეს ტყიბულელებს მოწონებითა რიგებში როდი აყენებს. უფრო მეტიც, ტყიბულსა და ტყვარჩელს შორის გამლილ სოციალისტურ შჯიბრებში მიმდინარე წლის სამი კვარტალის შედეგების მიხედვით საერთოდ ვერ გამოვლინდა გამარჯვებული. არ შესრულდა გეგმები და ვალდებულებები ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. რა მოხდა, რატომ დათმო ქალაქმა მოწინავე პოზიციები?

ეს მოხდა ერთი საწარმოს — ტყიბულის „დასავლეთის“ შახტის გაუმართავი მუშაობის გამო. მიმდინარე წლის 10 თვეში საწარმომ ვერ უზრუნველყო დაგეგმილი 28.255 ტონა საკოქსე ქვანახშირის ამოღება, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაკალება 88,8 პროცენტით შესრულდა, ტონა ქვანახშირი 2 მანეთითა და 89 კაპიკით გაძვირდა. შახტს სახელმწიფო, როგორც ეს დაგეგმილი იყო, 1.175 ათასი მანეთით უნდა ეზარალებინა, ფაქტობრივად კი ამ ციფრმა 344.849 მანეთი შეადგინა. დიახ, ჩვენ მხოლოდ 10 თვის შედეგებს მოგახსენებთ, თორემ, საერთოდ, საწარმოს „ავადმყოფობა“ უფრო ადრე — 1977 წლიდან დაიწყო.

ულევი ამ ქვეყანაზე არაფერია და, გასაგებია, რომ ამ შახტის შესაძლებლობები ნავარაუდევი დროისათვის ამოიწურებოდა. ეს, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ვისაც ეს ეხება და იზრუნეს კიდეც საწარმოს სიცოცხლის გასაგრძელებლად: 20 წლის წინათ დაიწყო „დასავლეთი-2“ შახტის შენებლობა, რომელიც 5-7 წელიწადში უნდა დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, საქმეს თავი ვერ მოება. გულგრილობამ, რომელსაც 60-იან წლებში საერთოდ იჩენდნენ ქვანახშირის ამოღებისადმი, თავისი ქნა. ამ დროისათვის „დასავლეთის“ შახტიც „სეპაბუკის“ ასაკში გახლდათ და სათბობის ნაკლებობა არავისთვის უგრძნობინებია, წუყურუეს...

დრო, როგორც იტყვიან, ხელში შემოაგანთ, დადგა ძველი შახტის დახურვის საკითხიც და, თანაც იმ პერიოდში, როცა სათბობზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა. ამიტომაც ასეთი უკიდურეს ზომას არ მიმართეს. „დასავლეთის“ გადარჩენისათვის გადახსნეს ღრმა სამთო ველი და ახალი, საკმაოდ მოზრდილი სამუშაო ფრონტი მოამზადეს. ვაი რომ, ამ ძვირად ღირებული ღონისძიებების განხორციელებამაც ვერ უშველა საქმეს. ქვანახშირის ამოსაღები ფენა, რომელიც, ჩვეულებრივ, დახრილად მიემართება, ღრმა ჰორიზონტზე თანდათან გავაკდა და გართულდა მოპოვების ტექნოლოგია. ჰორიზონტალურმა ფენამ უკიდახრა მიიღო, შემობრუნდა და მიწის ზედაპირისაკენ გადმოვარდა. ასეთი ფენების დამუშავების გამოცდილება აქ არ ჰქონიათ, მას დღემდე არსებული დამუშავების ვერც ერთი სისტემა ვერ მიუსადაგებს. ამიტომაც მომზადებულმა სამთო გვირაბებმა თავიანთი ფუნქცია დაკარგა. მაგალითად, აქ გაყვანილ საველტრანსპორტიორებს გვირაბს, რომელიც ფენის გადახსნისათვის იყო საჭირო, ახლა საზიდ ბრტკალად იყენებენ.

იმისათვის, რომ საექსპლოატაციო უბნების სატვირთავ პუნქტებში რიტმულად ხდებოდეს ვაგონების მეწოდება და ქვანახშირის გამოტანა, შტრეკში წესით ორლიანდაგიანი საშახტო რკინიგზა უნდა დაიგოს. აქ კი მხოლოდ ერთი ხაზი გაუყვანიათ. ერთლიანდაგიანი გზის გასწვრივ განლაგდნენ მეოთხე, პირველი და მესამე საექსპლოატაციო უბნები, რომლებიც ხელს უშლიან ერთმანეთს. არ ხერხდება მათთვის ერთდროულად ვაგონების მიწოდება. სანამ სულ ბოლოს მდებარე მესამე უბნიდან არ გამოიტანენ სათბობს, დანარჩენები უქმად დგანან. ხანდახან ცვლის დიდძალი ქვანახშირი აქვთ მონგრეული და ცეკიანან ტრანსპორტის მოლოდინში, მერე ტოვებენ სამუშაო ადგილს და მიდიან: ზოგი უბრუნდება შახტს, ზოგი კი სულ ტოვებს მას.

სხვათა შორის, აქ რომ წესი არ დაერღვიათ და თავის დროზე ორლიანდაგიანი რკინიგზა დაეგოთ, მოუხედავად ზემოაღნიშნული გეოლოგიური და სხვა სირთულეებისა, ქვანახშირის ამოღების მოემართა. ასეთი ფენების დამუშავების გამოცდილება აქ არ ჰქონია, ამ საქმეში ჩვენ ტრანსპორტი ორლიანდაგიანი ბაგირგზა ეხმარებოდა. ეს ბაგირგზა ბოლო ხანებამდე ფუნქციონირებდა, ბოლოს ბაგირი ამოიწურა, ბოლოს ბაგირგზა ბოლოს ბაგირგზა ბოლოს ბაგირ... ეს ბოლოს ბაგირ... ეს ბოლოს ბაგირ... ეს

ვმართოთ ეკონომიურად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შრომითი რესურსების ყველაზე რაციონალური გამოყენების თაობაზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიიღო დადგენილება „მართვის აპარატისა და არასაწარმოო სფეროს ზოგიერთი დარგის მუშაკთა რიცხვის ზრდის შეზღუდვისა და შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, კერძოდ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში დაშვებულია მართვის აპარატის მუშაკთა რიცხვის დაუსაბუთებელი ზრდა. მართვის აპარატის სრულყოფის საფუძველზე მმართველობითი შრომის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობანი მთლიანად არ ხორციელდება. იქმნება ზედმეტი და პარალელურად მოქმედი დაწესებულებანი, უსაფუძვლოდ იზრდება საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციების რაოდენობა. სანარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სუსტად იყენებენ პროფესიათა შეთავსებისა და მომსახურების ზონების დაფარვის ბაზისი ნაკლები რიცხვის პერსონალით სამუშაოთა დადგენილი მოცულობის შესრულების შესაძლებლობებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე 1982-1985 წლებში საპროექტო, საპროექტო-საძიებო და საძიებო ორგანიზაციებში, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებში, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებში უზრუნველყოს შეზღუდოთა რიცხვის შემცირება 1980 წლის ფაქტობრივ რიცხვთან შედარებით და განსაზღვრა შემცირების საშუალო ოდენობა. გარდა ამისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან ამ წლებისათვის სახელმწიფო სახსრების სწორი და მომჭირნე ხარჯვისადმი, მართვის აპარატის მუშაკთა შტატებისა და მისი შენახვისათვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების დადგენილი წესის დაცვისადმი.

დადგენილებით გათვალისწინებულია მითითებანი გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხებზე.

1982 წლიდან სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში დამტკიცდება მუშამოსამსახურეთა რიცხვის ლიმიტები სსრ კავშირის ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის და ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, მათ შორის ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში.

სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

გააცნონ საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს პროფესიათა შეთავსებისა და მომსახურების ზონის გაფართოების პრაქტიკის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის კონკრეტული დავალებანი;

გადასინჯონ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საპროექტო, საპროექტო-საძიებო და საძიებო ორგანიზაციების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების, აგრეთვე სამმართველო ფუნქციების მქონე ორგანიზაციების ქსელი იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას პარალელიზმი და დუბლირება. მათ მუშაობაში და გაუქმდეს ზედმეტი რგოლები და ქვეგანყოფები. გათვალისწინებულია, რომ ახალი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნა ხდება დადგენილი წესით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ან სსრ კავშირის სახმშენის წარდგინებით, ხოლო გაერთიანებების, სამმართველების, განყოფილებების, ტრესტების, საავჭრო ორგანიზაციების, ინსპექციების, გამოთვლითი ცენტრების, კანტორებისა და სამმართველო ფუნქციების მქონე სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე სამშენებლო, მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებისა — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი მართვის აპარატის შენახვისათვის სახელმწიფო სახსრების სწორი და მომჭირნე ხარჯვისადმი, მართვის აპარატის მუშაკთა შტატებისა და მისი შენახვისათვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების დადგენილი წესის დაცვისადმი.

დადგენილებით გათვალისწინებულია მითითებანი გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხებზე.

ნაგებობათა შეფასების ახალი ნორმები

„მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა დაზღვევისათვის შენობების ღირებულების გამოანგარიშების შეფასების წესი.

დადგენილია, რომ ნაგებობათა ღირებულების გამოანგარიშება (შეფასება) ხდება შეფასებითი ნორმების მიხედვით შენობების გაცვეთის გათვალისწინებით. ეს ნორმები მუშავდება შენჯობათა იმ ღირებულების საფუძველზე, რომელიც გამოიანგარიშება საშენი მასალების სახელმწიფო საცალო ფასებით, მათი გადაზიდვის ტარიფებითა და მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის განაკვეთებით.

ახალი შეფასებითი ნორმები 1982 წლის 1 აპრილამდე უნდა დაამტკიცონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ან მათი დავალებით — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა. საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობების შეფასებას ახალი ნორმებით სოფლად მოახდენენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები, ხოლო ქალაქად — კომუნალური მეურნეობის ორგანოები 1982 წლის 1 დეკემბრამდე.

ნაგებობათა გადაფასება მოხდება 5 წელინადში სულ ცოტა ერთხელ.

(საკდესი).

შროშული მოტივები

ოფელი შროშა ოდითგან გაჩქმული შეთუნეების ოსტატობა. კერამიკული საქმიანობა აქ ... ხელოსნობა ზღვისპირეთის ... ქვეყნებში დაახლოებით ... ასა და იგივე პერიოდში ჩაება. პირველი ნაკეთობანი ჩვენს ... მეორე ათასწლეულის მიეკუთვნება. კერამიკის ხელოვნებამ ... ვითარების ხანგრძლივი გზა ... ლო, მრავალგზის იცვლებოდა ნაწარმის ფორმები და დეკორი, მასალა და მისი დამზადების ტექნოლოგია. თიხის კეცებს, ლობიოს სახარშ ქოთნებს ... სხვა ჭურჭელს შროშელი ... ტები ეროვნული ორნამენტით ... ამშვენებენ.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ... ლური რეწვისა და სუვენირების სამეცნიერო-კვლევითი მხატვრულ-ექსპერიმენტული ლაბორატორიის „სოლანის“ თანამშრომლებმა შეისწავლეს შროშული ... ბრიკის დამზადების ხერხები, ... ბავების შედგენილობა, გამოავლინეს ნედლეულისა და შრომის რესურსები.

შროშის ხალხური რეწვის განვითარების პროგრამის შემუშავებას მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც გაიმართა სოფელ შროშაში. იგი გახსნა პარტიის ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ძაბირაძემ.

მხატვრული რეწვის განვითარების პერსპექტივების შესახებ ინფორმაცია გაკეთა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ო. ჭიმარიშვილმა.

მოხსენებები წაიკითხეს მხატვრული ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ი. გაბაშვილმა, „სოლანის“ მთავარმა მხატვარმა ირ. მელიქიძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ც. კაკაბაძემ, მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ყანდარელმა და სხვებმა.

კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ კერამიკის დამზადების პროცესს (საქინფორმი).

ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრება

ბილვინთა. 5 დეკემბერს მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა ჟურნალისტთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, ... ომელმაც განიხილა პრესაში, ... ლევიზიაში მოსახლეობის ... ოსტატობის დახვეწის, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების ... რესპუბლიკის მშრომელთა ... ზე პასუხისმგებლობის ამაღლ... საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემ... ის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

შეკრება გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ო. ბეთანიშვილმა. შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ საქინფორმის დირექტორი თ. სტეპანოვი, ქალაქ გაგრის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრება ექვს დღეს გასტანს.

(საქინფორმი).

სოციალისტურ ქვეყნებში

● უნგრეთი

სიახლე ვაჭრობაში

ბუდაპეშტი. ახლახან უნგრეთში გაჩნდა ფირმა „მოდელ „ც“, რომელიც მომმართველს იზიდავს საქონლის მაღალი ხარისხით, მას შეუძლია თავისი გემოვნებით აირჩიოს ნივთი, რათა მოდას არ ჩამორჩეს. რესპუბლიკის სხვა რვა საწარმომ და სამრეწველო კოოპერატივმა ამ სახელწოდებით შექმნეს მზა ტანსაცმლის წარმოება-გაყიდვის ექსპერიმენტული გაერთიანება.

გადაწყვეტეს საქონლი მცირე პარტიებით, მაგრამ სხვადასხვა ფასონისა გამოეშვათ. როგორც ექსპერიმენტის პირველმა შედეგებმა გვიჩვენა, ამან მათ საშუალება მისცა მოთხოვნის ცვალებადობაზე სწრაფი რეაგირება მოახდინონ.

ბუდაპეშტის მცხოვრებთ უკვე შეუყვარდათ გაერთიანების პატარა საფირმო მაღაზიები. მართალია სიდიდით ისინი ჩამოუვარდებიან შსხვილ სავაჭრო ცენტრებს, მაგრამ ტანსაცმლისა და მოდური მორთულობის ასორტიმენტი აქ არანაკლებ მრავალფეროვანია.

ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ვაჭრობის ახალი ფორმა წლის დამლევამდე ბუდაპეშტსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში გაიხსნება „მოდელ „ც“-ის 14 მაღაზია.

● ჩეხოსლოვაკია

ლაზერი მედიცინაში

პრაღა. ჩეხოსლოვაკია მსოფლიოს ერთი იმ მცირე ქვეყანათაგანია, სადაც ლაზერის სკალპელს ამზადებენ. მან წარმატებით გაიარა გამოცდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კლინიკურ პრაქტიკაში. რესპუბლიკის ექიმები განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ლაზერულ სკალპელს ოფთალმოლოგიაში. ჩეხოსლოვაკიური ლაზერის უპირატესობაა სამანიპულაციო ბერკეტის არსებობა, რომელიც ექიმებს საშუალებას აძლევს ოპერაცია სხვადასხვა მიმართულებით აწარმოონ.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ექიმები ვარაუდობენ გააფართოონ ლაზერული სკალპელის გამოყენების სფერო. მომავალში შესაძლებელი გახდეს ქირურგიულ მიკროსკოპთან შერწყმით ლაზერი გამოიყენონ მიკროქირურგიაში. ტვინის ოპერაციების დროს.

● კამბუჩია

მეგობართა დახმარებით

პნომპენი. მომსახურების მაღალი ხარისხი, თანამედროვე ტექნიკური დონე — ასეთია ახლახან მწყობრში ჩამდგარი ტრაქტორების მომსახურების სადგურის განმასხვავებელი ნიშნები. იგი შეიქმნა სსრ კავშირის, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დახმარებით და გახდა ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მომსახურების სისტემის მეთაური საწარმო. დაგეგმილია ყოველ პროვინციაში გაიხსნას მისი ფილიალი.

კამპუჩიის სახალხო მეურნეობაში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება იზრდება. მომდინარე წელს მანქანების დახმარებით დამუშავდა 60 ათას ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე 1980 წელს. უახლოეს წლებში სსრ კავშირთან, სხვა მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან კამპუჩიის თანამშრომლობის უკვე არსებული გეგმების შესაბამისად კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკას რამდენიმე ათას ტრაქტორს მიაწვდიან.

ახლა ქვეყანაში გახსნილია კვალიფიკაციური მექანიზატორების, მერემონტე სპეციალისტების მოსამზადებელი სპეციალური კურსები. ამაში მათ დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა და ვიეტნამელი სპეციალისტები.

● იუგოსლავია

ახალი საამქრო

სკოპლე. მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ სკოპლეს მეტალურგიულ კომბინატში. აქ საზეიმო ვითარებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის მოწყობილობა, რომელიც საბჭოთა კავშირმა მიაწოდა და საბჭოთა სპეციალისტების ტექნიკური მონაწილეობით დამონტაჟდა.

ახალი თანამედროვე საამქროს ამუშავებამ, სადაც ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციები ავტომატიზებულია, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა შრომატევადი ოპერაციები. კომბინატში მიიჩნიეთ, რომ მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის წყალობით ახალი პროგრესული ტექნოლოგიის ათვისებისათვის გაწეული ხარჯები ორ წელიწადნახევარში ანაზღაურდება.

ვამაყობთ შრომითი წარმატებით, რომელსაც საბჭოთა მეგობრებთან ერთად მივაღწიეთ, უთხრა საკდესის კორესპონდენტს კომბინატის გენერალურმა დირექტორმა კ. ავრამჩევმა. ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის საამქრო, რომელიც უნიკალურია იუგოსლავიისათვის, ეს არის შავ მეტალურგიაში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ნაყოფიერი თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითი.

საკავშირო ტელევიზიის ლენინგრადის ... „ლენინგრადი“

საერთაშორისო ... ფესტივალი „ოქროს ... ცხოვრება“

5 დეკემბერი

● ამერიკა-ისრაელი

საშიში გეგმები

ვაშინგტონი. ამერიკის ადმინისტრაცია აჩქარებს სინას ნახევარკუნძულზე „მრავალეროვნული შეიარაღებული ძალების“ შექმნას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აქ გაავრცელა ამერიკა-ისრაელის ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატოს ოთხი წევრი ქვეყანა — ინგლისი—საფრანგეთი, იტალია და ჰოლანდია თანახმანი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ ძალებში.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მონაცემებით, ეს განცხადება შეათანხმეს ამ ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს. მისი თქმით კემპ-დევიდის სეპარატული გარიგების მონაწილე მეორე პარტნორს — ეგვიპტეს აცნობეს მოლაპარაკების შედეგები და შემუშავებული განცხადება.

ამერიკა-ისრაელის ახლანდელი განცხადება თითქოსდა იურიდიულად აფორმებს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მომავალ ყოფნას და, „ეი-ბი-სის“ ტელეკომპანიის თქმით, „აღმოფხვრის დაბრკოლებებს ამ ძალებში ნატოს წევრი მთელი რიგი დასავლეთევროპული ქვეყნების მონაწილეობის „გზაზე“.

სინას ნახევარკუნძულზე „მრავალეროვნული შეიარაღებული ძალების“ შექმნის გეგმებმა, ისევე როგორც კემპ-დევიდის სეპარატულმა გარიგებებმა, მტკიცე პროტესტი და გულისწყრომა გამოიწვიეს მთელ არაბულ სამყაროში. იქ ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ისრაელის საოკუპაციო ჯარებს შეცვლიან ამერიკის ჯარები, რაც კიდევ უფრო მეტად გაართულებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებას სამართლიანსა და მტკიცე საფუძველზე.

● ჩინეთი-ვიეტნამი

მეიარაღებული პროვოკაციები

პანმი. ჩინეთის ხელისუფალნი განაგრძობენ შეიარაღებულ პროვოკაციებს სოციალისტური ვიეტნამის საზღვარზე და აწყვავებენ დაძაბულობას ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჩინეთის მხედრიონს კვლავინდებურად უკანონოდ უკავია ვიეტნამის ტერიტორიის მის მიერ დაპყრობილი უბნები და იმედი აქვს, რომ მათ გამოიყენებს პლაცდარმად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი გამოხდომებისათვის.

ნოემბრის დამლევიდან გასულ პერიოდში, აღნიშნავს სააგენტო, ჩინეთის არტილერიამ არაერთგზის დაუშინა ცეცხლი ვიეტნამის სასაზღვრო რაიონებს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მშვიდობიან მოსახლეობას. ჩინეთის სამხედრო მოსამსახურეთა ათობით ჯგუფი იჭრებოდა ვიეტნამის ტერიტორიაზე საბოტაჟისა და დივერსიული აქტების მოსაწყობად. მათი დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

ჩინეთის მხედრიონის პროვოკაციულ გამოხდომებს მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ მესაზღვრეები და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონების მოსახლეობა, ნათქვამია ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობაში.

მოლაპარაკება ჟენევაში

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მორიგი პლენარული სხდომა.

● ინდოეთი

მინისტრის განცხადება

დელი. ინდოეთის თავდაცვის სახელმწიფო მინისტრმა შივრაჯ პატილმა პარლამენტში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ, არსებული ცნობების თანახმად, ჩინეთმა ტიბეტში ინდოეთის საზღვართან განალაგა რაკეტების გასაშვები დანადგარები.

უკანასკნელ ხანს, აღნიშნავს ინდოეთის პრესა, ჩინეთი აძლიერებს სამხედრო მზადებას ინდოეთის სასაზღვრო რაიონებში. მაგალითად, ტიბეტის სამ რაიონში განალაგეს დანადგარები საშუალო სიშორის რაკეტების გასაშვებად, რომლებიც დამიზნებულია ინდოეთის ქალაქებზე, გაზარდეს ჯარის ნაწილების საცეცხლე ძლიერება. გარდა ამისა, ჩინეთმა ააშენა მთელი რიგი სამხედრო ობიექტები 1962 წელს ოკუპირებული ინდოეთის ტერიტორიის ნაწილზე.

● ავღანეთი

უარყოფენ ყალბ ბრალდებას

ქაბული. ავღანეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გადაჭრით უარყო პაკისტანის ხელმძღვანელობის მტკიცებანი თითქოს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებული ძალების ვერტმფრინავს დაერღვიოს პაკისტანის საჰაერო სივრცე ბელუჯისტანის პროვინციის რაიონში. ბახთარის სააგენტოსათვის გადაცემულ განცხადებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ბრალდება თავიდან ბოლომდე ყალბი და აბსურდულია. ისლამაბადის რეჟიმი, თქვა მან, მიმართავს სიცრუეს, რათა შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, პაკისტანელი ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს შინაურ პრობლემებს, შენიღბოს თავისი ნამდვილი პოლიტიკური მიზნები.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **ბეიროუთი, ირან-ერაყის ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლები წარმოებს.** ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობით, ირანის ჯარებმა ახალი შეტევა წამოიწყეს. სარიპოლე-ზოჰაბის რაიონში ბრძოლების დროს მოსპობილია ერაყელთა ორ ქვეით ბატალიონზე მეტი. დახოცეს და დაჭრეს ოთხასზე მეტი ერაყელი სამხედრო მოსამსახურე.

იტყობინებიან, რომ ირანის ჯარებმა ქალაქ აბადანის ჩრდილოეთით დაიკავეს 250 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, და ერაყელთა ნაწილები განდევნეს მდინარე კარუნის დასავლეთ ნაპირზე.

● **თეირანი.** აქ გამოაცხადეს, **რომ დაიხურა ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ფაი

კომუნისტი
საქართველოს კომპარტიის ორგანული საკავშირო

ბედნიერების და სათნოების საუნჯე 4.

„ვეფხისტყაოსნის“ კვალის მისაგნებად

ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია რუსთაველის უკვდავი პოემის ხელნაწერთა ისტორიაში, ყველამ კარგად იცის, თუ შედარებით რა გვიანდელი (მე-17-18 სს) ხანის ნუსხებს მოუღწევია ჩვენამდე.

ამიტომ განუზომლად დიდი იყო ინტერესი მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პლატონ იოსელიანის (1809-1875) ცნობებისადმი „ვეფხისტყაოსნის“ ორი უძველესი ხელნაწერის თაობაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ შოთა რუსთაველის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში პლატონ იოსელიანი აუწყებდა მკითხველს: იმერელი თავადის, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის ხელში მე მინახავს „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ძველი, ეტრატზე მსხვილი მრგვალი მხედრული ასოებით ნაწერი ნაკლული ნუსხა, რომლის ჩარჩოები მოხატული იყო სინგურით აღმოსავლური რთულორნამენტიანი ფიგურებით. ხელნაწერის მდიდრული გაფორმება პლ. იოსელიანს აფიქრებინებდა, რომ თავის დროზე იგი მეფისა-თვის ან ვინმე მეფის გვარეულობის პირისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ამას გარდა, პლ. იოსელიანი იქვე გვაწვდიდა ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ მეორე უძველესი ნუსხის შესახებ, რომელიც გასანთლულ ქაღალდზე ყოფილა გადაწერილი 1443 წელს აღქესანდრე მეფისთვის და აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილის ოჯახში ინახებოდა.

უკანასკნელ ხანს, აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა თავის „მოგონებებში“ (იხ. „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164; შდრ. მისივე, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 312, 314) პოემის პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული გრიგოლ წერეთლისეული ეტრატოვანი (პერგამენტი, ტყავი) ხელნაწერი გააიგივა „ვეფხისტყაოსნის“ ბომბაციინაზე (გასანთლულ ქაღალდზე) ნაწერ ნუსხურ და პელაგია წერეთლისეულ გვიანდელ (მე-17-18 სს) ნუსხასთან, რადგან პლ. იოსელიანს, როგორც ჩანს, ბომბაციინა და ეტრატი ერთმანეთში აერიაო.

აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ამ მოსაზრებას არ ეზიარებს აკადემიკოსი ა. შანიძე. იგი ადრეც (1937 წ.) და შემდეგაც (1962 წ., 1965 წ., 1966 წ.) გამოქვეყნებულ ყველა ნაშრომში პლ. იოსელიანის ცნობას სანდოდ მიიჩნევს: „...არ შეიძლება არ ვენდოთ ფრიად განათლებულსა და ცნობიერ მეცნიერს, რომელსაც თანამედროვენი ფილოსოფოსს ეძახდენ, როცა ის ორ ძველ ხელნაწერს ასახელებს და აგვიწერს კიდეც. ეს ხელნაწერები მის დროს ყოფილა, მაგრამ ამჟამად არ ჩანს. საკითხავია: რა მოუვიდათ მათ? თუ დაიღუბა, როდის და რა ვითარებაში? მე ამედი მაქვს, რომ ეს ორი ხელნაწერი არ არის დაღუპული, სადღაც არის და მიკვლევა უნდა. შეიძლება პატრონებმა გაყიდეს და ხელნაწერებმა სადმე ევროპაში ან ამერიკაში ამოყვეს თავი. საკვირველია მათი მოძებნა, მათი ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება. ეს აუცილებელია უკვდავი პოემის ტექსტის დასადგენად, რომელიც ეგოდენ შერყვნილია უვიცი გადამწერლებისაგან, ამას მოითხოვს ქართული კულტურის ინტერესები“ (იხ. თხზულებანი, ტ. II, 1966, გვ. 64-65, აგრეთვე, გვ. 214, 272-273).

გრიგოლ და ნესტორ წერეთლისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა გაიგივებას რომ მყარი საფუძველი არ ჰქონდა, ახალი საბუთიანობით აღნიშნული აქვს პროფესორ ს. ცაიშვილს („ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 109, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია“, ტ. II, 1970, გვ. 17-19).

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ელიოზიშვილისეულ ნუსხას, მისი ბედით ერთ დროს საგანგებოდ დაინტერესებული ჩვენი დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და ამ მიზნით 1936 წელს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის თავზე საიუბილეო კომიტეტის წევრს, ელიოზიშვილების ძველი ოჯახები გამოუკითხავს (იხ. თხზულებანი, ტ. XII, 1975, გვ. 133-137, 671).

შიუხედავად ამისა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ავტორიტეტმა მაინც მოახდინა გავლენა გარკვეულ სამეცნიერო წრეებზე და ერთგვარად შენელა კიდეც ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ამ თითქოსდა უძველესი, მეტად სანიტერესო ხელნაწერების ბედისადმი.

ამიტომ ჩვენ მოგვიხდა პლ. იოსელიანის ცნობების ხელახალი შემოწმება: სხვადასხვა ახალი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების გამოვლენისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე დადგინდა, რომ პლ. იოსელიანის ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერების შესახებ ნდობის ღირსია და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს (დაწვრილებით იხ. არქეოგრაფიული ძიებანი, 1973, გვ. 52-65; პლატონ იოსელიანი — რუსთაველოლოგი, 1980, გვ. 115-139). სხვათა შორის, ამავე მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ჯერ კიდევ 1972 წლის 19 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ჩემივე წერილი „ძვირფას ხელნაწერს რომ მივაგნოთ“.

ინგლისში ყოფნისას თავში სულ აკაკი შანიძის სიტყვები მიტრიალებდა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთაგან ვიცოდი, რომ ლონდონში ცხოვრობს ღრმად მოხუცებული ქართველი წარჩინებული ოჯახის შვილი საალმე ანდრონიკაშვილი, რომელსაც საინტერესო კერძო კოლექცია აქვს. მისი მისამართის დადგენას დიდი დრო და ენერგია მოვანდომე, დაბოლოს გავიგე კიდეც, მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მის ოჯახში შეღწევა არ მოხერხდა.

სამშობლოში დაბრუნებამდე ბუმა კაცმა 850 გირვანქა სტერლინგის შემდეგ, ჩემს უნებართოდ, მეტის შეძლევა ვერ გაბედა და საბოლოოდ აუქციონზე ეს ხელნაწერი 1250 გირვანქად გაყიდულა. ეს თანხა ახლაც არ არის ცოტა, მაშინდელი გირვანქა სტერლინგი კი სულ ცოტა ათჯერ მეტია დღევანდელზეო. ესპანეთიდან ლონდონში რომ დაბრუნდი და ეს ამბავი დამახვედრეს, მაშინვე გავიქეცი „სოზებში“, თან მახლდა ლონდონში მცხოვრები ქართველი მხატვარ-რესტავრატორი დავით მეტრეველი, უფრო სწორად, იმის მანქანით წავედითო (ეს ფაქტი ამ უკანასკნელმაც დაადასტურა), და ვთხოვე, ოღონდ მფლობელის ვინაობა ეთქვათ, და ათმაგს მივცემდი. მაგრამ „სოზების“ მკაცრი წესებით მფლობელის ვინაობის გამხელა აკრძალულია და იგი საიდუმლოდ რჩება, ამიტომ მეც უარით გამომიტანეს. ესეა, სხვათა შორის, აქვე, დავით მეტრეველმა დასძინა, იმავე ხანებში და იმავე „სოზების“ აუქციონზე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ძველი ნუსხაც გაიყიდაო.

გული კინღამ გადამბრუნდა... აღარ დავეძებდი, რა იყო ამ ნაამბობში მეტნაკლებად ზუსტი ან არაზუსტი. მთავარი მაინც ის იყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პლ. იოსელიანის მიერ მოხსენიებული ერთ-ერთი უძველესი ნუსხის კვალი ჩანდა.

ეს ცნობა დაადასტურა აგრეთვე ლონდონში მცხოვრებმა ქართველმა ექიმმა აკაკი რამაშვილმა, რომელმაც გაიხსენა, რომ აწ განსვენებული ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებელი, პროფესორო უ. ალენის ახლო მეგობარი და ჟურნალ „გეორგიკის“ ერთ-ერთი გამომცემელი ანდრო გუგუშვილი ბევრს დარბოდა, რომ სადმე ფული ეშოვა და „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი დაეხსნა, როგორმე დაკარგვას გადაერჩინა, მაგრამ ლონდონში მცხოვრებმა ხელმოკლე ქართველებმა ვერ შეეძელით საამისო თანხის შეგროვებაო.

მეორე დღეს, 23 ოქტომბერს დილადრიან უკვე „სოზების“ საიუქციონერო საზოგადოებაში ვიყავი. პირველად მეც უარი მითხრეს, საერთოდ მფლობელის ვინაობას ვერ გავცემთო. მაშინ ავუხსენი, რომ მე ვარ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური წარმომადგენელი და ბრიტანეთის აკადემიის სტუმარი, თან ვუჩვენე ბრიტანეთის აკადემიის მიერ მოცემული სარეკომენდაციო. ბარათი, რომელიც გზას მიხსნიდა ბრიტანეთის ყველა საცავში. მაშინ „სოზების“ მესვეურებმა საიუქციონერო საზოგადოების ხელნაწერთა განყოფილების დირექტორთან, დოქტორ ქრისტეფორ დე ჰამელთან შემახვედრეს. მან მკითხა, თუ იცით ზუსტად წელი, თვე და რიცხვი, როდესაც თქვენთვის საინტერესო ხელნაწერი გაიყიდაო. მაშინ ჩავხედავ ჩვენ საიდუმლო კატალოგებში და გეტყვით მფლობელის ვინაობას, ოღონდ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, ეს ნუსხა ვინ ... ...